

1934.

ԵՐԱՌՈՒՅՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ





ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ଏଣ୍ଟରୀ

ନଂ 11

ସାହଚାରତବ୍ୟାଳୀ ଡ. ଜ. ଓ. ଓଦେଶ୍ୟାଳୁହି ପିଲାହାରୀ ଏବଂ
ତାଙ୍କାରିତାବଳୀ ବ୍ୟାପକ ପ୍ରକାଶକାରୀଙ୍କ ଶ୍ଵାରାଳୀ
ମହାନ୍ଦ୍ୟାଳୀରେ ବାବାଲୀରେ ପାଇଥାରୀରେ ପାଇଥାରୀରେ,


ନେପର୍ମ୍ବେରୀ 1934 ଫେଲୀ

ମହାନ୍ଦ୍ୟାଳୀ ବ୍ୟାପକାରୀରେ
ମହାନ୍ଦ୍ୟାଳୀ, ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ମହିନା ନଂ 17
୧୯୩୪ ଫିବୃରୀ ।

୩୦୬୧୬୬୮:

1. ମହା ଗ୍ରନ୍ଥା (ଲ୍ୟାଙ୍କି) ମହାନ୍ଦ୍ୟାଳୀରେ	1
2. ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ମିଥ୍ୟାରୀ (ଲ୍ୟାଙ୍କି) ୬. କମାଲାମଦୀରୀ	2
3. ଗ୍ରଙ୍ଗିଲାବୁ ତାନୀରୀ (ମନୋବିର.) ଲ୍ୟାଙ୍କିନାମଦୀରୀ	3
4. ମେଲାବୀ, (ଲ୍ୟାଙ୍କି) ୧. ପ୍ରାଚୀର୍ଯ୍ୟାଳୀରେ	8
5. ପାର୍ବତୀ ପିଲାହା (ଲ୍ୟାଙ୍କି) ୧. ପାର୍ବତୀମଦୀରୀ	9
6. ପ୍ରମାଦ୍ବିଜ୍ଞାନିକ ପ୍ରକାଶକାରୀ (ମନୋବିର.) ତାନାର ପ୍ରକାଶମଦୀରୀ	10
7. କ୍ଷେତ୍ରି ରାମିନ୍ (ଲ୍ୟାଙ୍କି) ୧. ଅନ୍ତାମାନି	16
8. ଶ୍ରୀମିଶ ଦ୍ରବ୍ୟ (ଲ୍ୟାଙ୍କି) ୧. ଶ୍ରୀମିଶମଦୀରୀ	17
9. ବାର୍ତ୍ତାରୀ ଗମିନ୍ଦ୍ରୀ (ମନୋବିର.) ତାନାର ପ୍ରକାଶମଦୀରୀ: ୨. ଅନ୍ତାମାନି	18
10. ପ୍ରକାଶକାରୀ ପାଇକ୍ସ (ମନୋବିର.) ଶାକ୍ତାତ୍ମିକମଦୀରୀ	
11. ମଦିନାର୍ଯ୍ୟ (ଲ୍ୟାଙ୍କି) ଏତ. ବେନାରାମମଦୀରୀ	23
12. ବାମାପିତ୍ର ପ୍ରକାଶକାରୀ (ମନୋବିର.) ୩. ବାମାପିତ୍ରମଦୀରୀରେ	24
13. ଅନାନାତ (ମନୋବିର.) ୧. ପାର୍ବତୀମଦୀରୀ	27
14. କ୍ଷେତ୍ରି ମହାରୂପାଠୀ (ପ୍ରକାଶକାରୀ) ଲ୍ୟାଙ୍କିନାମଦୀରୀ	30
15. ଗାନ୍ଧିଯ୍ୟାନି (ଲ୍ୟାଙ୍କିସାର) ଲ୍ୟାଙ୍କିନାମଦୀରୀ	32
16. ପାର୍ବତୀ ମହାରୂପାଠୀ ପ୍ରକାଶକାରୀ ୧. ପାର୍ବତୀମଦୀରୀ	
17. ପ୍ରକାଶକାରୀ ପାଇକ୍ସପ୍ରକାଶକାରୀ ପିଲାହାରୀ ୬. ଅନ୍ତାମାନିମଦୀରୀ	

ସେଇ ବ୍ୟାପକାରୀ ପାଇକ୍ସପ୍ରକାଶକାରୀ, ବେନାରାମମଦୀରୀ, ପିଲାହାରୀ ନଂ ୧/୫



ქრისტიანი

შენ ვერა სცნობ ძია გოლას,
ძეველ ბოლშევიკ-პარტიზანელს?
ხშირად რაზმში უყვარს მოსვლა,
ჩვენთან ყოფნას არ იზარებს.

ხნიერია ძია გოლა,
მაგრამ კიდევ მოსდევს ჯანი,
მის მაგარ მქლავს ჯერ ვერ მოხრის,
შრომის ტემპი, წელთა ცვლანი.

საამქროში ახალგაზრდებს
გაბედულად უდგას მხარში,
როგორც დამკვრელს, ძია გოლას
ვინ არ იცნობს ქარხანაში!

ბიჭო იღო, რომ იცოდე,
რა კაცია, უჟ რა კაცი!
საუბარი იცის ტებილი,
მომხიბლავი და წარმტაცი.

საუბრის დროს ეღიმება
და გრძელ წვერზე ისვამს ხელებს,
ხან ყალიონს გააჩალებს,
ხან კი ოდნავ ჩაახველებს.

ეს კი არის, თუ არ უსმენ,
გაგიწყრება, როგორ იცი?!
ხალხის მიერ შეიქნები
დასაგმობი, გასაკიცხი!



გუშინ იყო ჩვენთან რაზმში,
ძია კობას ამბავს მოჰყვა,
გულში ცეცხლი აგვითოლდა
ბრძოლისათვის აგვამბოხა.

გუშინ იყო, ხომ გითხარი,
ხვალაც მოვა, ასე ვგონებ,
მის თაფლივით ტკბილ საუბარს
შენი ყურით გაიგონებ!

ბიჭი ილო, რაღა გითხერა,
შეგვაყვარა ყველას თავი,
საუბარი იცის ტკბილი,
წარმტაცი და მომხიბლავი.

ალ. ბილანიშვილი



ოქტომბერი



კვლავ მოვიდა მტკიცე ნებით
ჩვენი დიდი ოქტომბერი,
მოვიდა და მოიტანა
სიხარული მრავალფერი.

შივეგებეთ, შივესალმეთ
ყველა დიდათ გაგვახარა,

ალლუმი და წინსულა გვქონდა
გახმიანეთ ბუქნაღარა.

გაუმარჯოს მძლე ოქტომბერს,
გაუმარჯოს ჩვენ განთიადს,
გაუმარჯოს ნორჩ თაობას
მათ მომავალს იმედიანს!

ნიკო კობალაძე

გოგინას თეთები



7.

(დახასრული *)

გოგილა ვეგონშია, მამის გვერდით ზის და მახლობელ ფანჯრიდან იყიდება ნაცნობ სოფლებისკენ. მას აგონლება ტოლ-ბიჭებთან თამაში.

მატარებელი მირბის, გაშლილი ველი და გორაკები უკან რჩდა, ისმის თვლების ჩა:

„ტაქ — ტუქ“...

„ტაქ — ტუქ“...

მას მრავალი რამ ესმის, მრავალ შობეჭრილ ებას ლებულობს, ბევრი რამ ხიბლავს, მაგრამ გული მაინც მოკუმული აქვს, დალონებულია, ამა-ნაფებს რომ ვეღარ ხედავს.

მამამ რომ დალვრემილობა შეამნია, ტებილი საუბარი გაუმართა.

— გოგილა, რას იტყვი, მატარებელი კარგი ყოფილა? — გამომწვევი კითხვით მიმართა მამამ.

გოგილა დიდი კაციებით დატერდა, გაიხდე-გამოიხედა, დაკვირდა გვერდით მსხლომ მგზავრებს, მერე ფანჯარაში გადაუყ თავი და თვალშინ შექრიცად ჩაუქროლეს ხევმა. მან იკოდა, რომ მ. ტარებელი მირბოდა, მაგ-რამ ძალიან აკეირებდა ხევბასც რომ უქიმ ეფდა. ის ასეთ ფიქრში იყო გახევული და უცებ წიმომახა:

— კარგი ყოფილა, კარგი... უჲ, როგორ მიქრის!

— ახლა რაღას იტყვი, მაინც სოფლებში ყოფნა გირჩევნია?

გოგილა შეფიქრდა.

— ვერ გმტყველი...

— როგორ ვერ მეტყველი, შე კაცო! შეტედე, რა თვალშარმტაცი სი-ლამაზეა, მატარებელიც ქარიყით მიქრის და მიგვაქროლებს ამდენ მგზავრს.

*) დასაწყისი ის. ეურინალ „ოქტომბრული“ № 10.

— აქაც კარგია, მაგრამ სოფელი უფრო უკეთესია...

შატარებელი მრველ სადგურს გაშორდა და შრავალგან უშესებული გადგილი ითვლიდა სადგურებს, ითვლიდა, მაგრამ მიმამ რომ სატბროვის გადასახლება მართა, აერია. მან ვეღარ გაიგო, ხუთი სადგური გამოიარეს თუ ვძირი და ჩუმალ აატაცურა პატარა ტუჩები.

— რას ჩუმალუები? — ხელი მოუთათუნა მიმამ და თანაც შეეკითხა.

ბავშვის უცებ მიიხედა.

— მამა, იცი რა გითხრა, ჩენ რომ ჩაისხედით შატარებელში, სწორედ იქიდან დავიწყე სადგურების თვლა... მინდოდა გამეგო რამდენი სადგური იწეროდა ტფილისამდის, მაგრამ უკვე ამერია.

— ხომ, ეგ არავერია.

მამისა და მის პატარა შეილს ტფილისამდის არ შეუწყვეტიათ საუბარი.

ისინი რვა საათი ისხდენ შატარებელში და მერე უეპრად მიადგენ ტფილის.

შატარებელი ქალაქს რომ მოუპლოდა, მაშინ ორთქლმავალმა ერთი მაგრად შეკითხა, თითქოს ტფილის ანიშნა:

— ა, მოვდივაზ რეკინის გოლიათი, ჩამომეულეთ, კარები გამილეთო.

— მივეღით... მივეღით, — შეიქნა ლაპარაკი მეზავრებში. ისინი აფაცურდენ, ყველამ თავისი ნიკოები მომებნა. ჩასჭადეს ხელი და გადმოსასელელად მოეშიადნენ.

ვოგილა ისევ ფანჯარაზე შეხტა, გადაყო თავი და ტფილის დაჭურებული ამდენი ერთმიმეორებულ მიყრილი სახლი თავისდლებში არ ენახა და ძალიან უკვირდა. ის უმშროვ სახლს ხედავდა, მავრამ მის სოფელში რომ ქოშმახები იღდა, მისთანა ერთიც არსად ჩანდა.



მატარებელი ვებქროთელა სადგურის წინ გაწეა. ოჩქლმავალი დალ-
ჟილი კაცივით ქშინავდა.

გოგილა მამას უკან მისდევდა.

შისთვის კველაფერი უწნაური იყო.

ის ხშირად რჩებოდა უკან, მაგრამ მერე ისევ გაჩანსალდებოდა და
ჭიმოვწეოდა.

თავის ბიძაშვილებთან რომ მივიდა, ახალი ჩამობნელებული იყო.
მამა და შვილი ერთად შევიდენ სახლში და მნელი ოთახი უეპრად აჩირალ-
დნეს. გოგილის კველაფერი აკორებდა და ოთახის უეპრად განათება-
ზაც გაანცეითა. უფროსებმა ერთომერე მოკითხეს, ბავშვები კი წყნა-
რად იყვნენ და უურს უვდებდენ მამების ლაპარაკს.

8

სოფლელი გოგილა ტფილისის მეორე საავადმყოფოში შეიცვანეს. პა-
ტარა ექვსთითა ბავშვი პირველად რომ შევიდა საავადმყოფოში, განცუი-
ფრდა, კველის რომ თეთრი ტანისამოსი ეცვა.

ის ქირურგიულ განყოფილებაში მოათავსეს. მას ჩაცეც ავადმყოფის
პატარა ფარიჯა. გოგილის ეცუბოვა ეს უწნაური ტანისამოსი, მაგრამ რას
იზამდა, რაკი ჩაცეც, სხვა ვზა არ იყო, უნდა უტარებია.

გოგილა შევვრებანი ბავშვი იყო.

ის თავის გიშერივით შავ თვალებს აქეთ-იქით ცნობის მოყვარეობით
ატრიცილებდა. სამაგიეროდ იქიმი ავადმყოფებსაც, რომელთაც ხელი ან
ფეხი ჭრონდათ შეხვეული, მოეწონათ ეს ბავშვი, ულიმოდენ და აღერსია-
ნად დაუწეუს ლაპარაკი:

— პატარა ბიქო, რა გეხა? — შეეყითხა ერთი ავადმყოფი, რომელსაც
ცალი მელია კისერზე ჭრონდა ჩამოყდებული.

გოგილიმ სირცებილის გმო თავი ჩაიდა და მამას ჭვეშ-ჭვეშ გახედა.

— უთხარი, შეილო, უთხარი, — წაათმამი მამის, — ეგ შენი ძია.

— გოვილა მქეია, — თავის თერცელადევ უპასუხა დაბალი ხითი.

— კარგი სახელი გრძევია. ახლა ეს მითხარი, რატომ მოგიყანეს
აქ, რა გტევა?

— არაფერი.

— მაშ რისთვის მოგიყანეს!

გოგილიმ წყნარად გამოსწია წინისკენ ხელები.

— აი, ექვსი თოთი მაქს.

ხელშექვეული ავადმყოფი ახლოს მივიდა და თავისუფალი ხელი
თავზე გადასუსვი.

— ნუ გეშინია, მაგას ისე მოგირჩნენ, რომ ვერც კი გაიგებ.

გოგილა დაიმედდა.



მაგრა შეინ დაბრუნდა. ბავშვის არ ესიმოვნა მარტოდ დარჩენა უცილი იყო /
მინებთან, თუმცა უკელანი ეალერსებოლცენ.

მან პირველიდ რომ გაიგონა მამის წასელის შესახებ, ტოთლიაფია
იწყო, მაგრამ მამის ანუგეშა:

— რა გატრირბს, შეილო, აქ შენი ძალა ხშირიდ მოვა და კაჯ
საჭელსაც მოგიტანს.

ბოლოს ტირილი შეწყვიტა, მიხვდა, რომ სხვა გზა არ იყო, უნდა
დარჩენილიყო.

გოგილა მამის წასელის შემდეგ რამდენიმე დღით იყო დალურებილი,
მერე თანდათან დაავიწყდა სოფელი და თავის ტოლ - ბიჭებთან თაბაში.
მას განსაუთრებული ყურადღებით ეპურობოლენ ავადმყოფებიც და ექი-
მებიც.

ეს ბავშვი რამდენიმე დღეში შეეჩერა სააფადმყოფოს ყოფაცხოვრებას.
ის ყოველ სალამის შეცტებულად ფანჯარაზე და მეორე სართულიდან უცემა-
და სავარტყოს ეზოში ლამაზად ვაშენებულ ბილს. გოგილა თვალს
არ აშენებდა შეა ბალში რომ აუზი იყო. თუმცი შეა ნაწილში დიდი
უსწიორმასწორო ჰქა ეკლო. ამ ქვაზე ლითონის ბატი იდგა. მას ფრთხოები
გამოიილი ჰქონდა, თავი მიღლა აეწია, ნისკარტი გაელო და ამ ლია პრტყე-
ლი ნისკარტიდან შადრევანი ამოდიოდა, რომელიც სიკრცეში რამდენიმე
მეტრის სიმაღლეზე ცემდა.

ბავშვი უხარისდა, რომ შადრევანი იმ სიმაღლეზე იჭრებოდა სიკრცეში,
ოცემდა ის ლითონის ბატი, რომლის პირიდან ყოველდღე ცემდა შადრე-
ვანი და გაინც არ ელეოდა წყალი.

აუზში თვეზები დასრიალებდენ. ის თვეზები არამც თუ პატარა
გოგილის ხიბლავდა, დიდებსაც, რომელებსაც სხვაც ბევრი რომ ენახოთ.
კაცები აუზის გარშემო იდგენ და თვეზებს უცემონდენ. ამას თითქოს
გრძნობდენ თვეზები, თვეზები წყალში ხან სწრაფად გასწევდენ, ხან მოუ-
ნელებდენ და გრძელ ბოლოებს ნაზად მიმოაქვედენ.

გოგილის აზაზე უკეთესი გასართობი თავის სიკოცხლეში არ ენახა
და სწორედ ამან დაავიწყა სოფლური ამბები.

9

გოგილის ორიოდე დღის შემდეგ ექიმობა დაუწყეს.

ის პირველიდ საოპერაციო კაბინეტში შეიყვანეს. იქ გაშლილი ლო-
გინების ნაცვლად სხვადასხვა იარაღი იყო. ყველა იარაღი სუფთა
და კრიალი იყო, თითქოს ასლად შეეძინათ.

კაბინეტში ძალიან მაღალი ექიმი დახვდა. მან გოგილის ლიმილით
დაუწყო ლაპარავი:

— ბოძიკო, მიჩვენე მარჯვენა ხელი.

ექიმის ღიმილის გა-
ათაბაშა.

— აი! — გაუწიოდა
მარჯვენა ხელი და მარ-
ტონი უკან წაიღო.

— უძ, შე კაცო,
რამდენი თითო გქონია.
ეს პატარა თითო რაღად
გინდა, — ექიმია ხელი
მოჰკიდა ნეკს ქვევით
რომ პატარა თითო იყო
და აქეთ - იქით გადაწ-
გადმოწია.

ექიმმა რომ თითო დაუწუკ დათვალიერება, მერე გოგილაც დაკუირდა
თითქოს თეთოთნაც პირელად დაინახა.

მაღალი ექიმი საუბარს არ წყვეტს გოგილასთან. მან ამ საუბრის
დროს აირო პიგროსკოპიული ბამბა, რაღაც სითემში ამოავლო და მერე ეს
ბამბა შეექცე თითოს მიღამოებში წაუს-წამოუსევა.

ლაპარაკი ჩვეულებრივად გრძელდება.

ექიმმა პინ ცუტი იმ აღგილზე მოუკირა, სადაც სეელი ბამბა იყო
წისმული.

— პატარა ბიჭო, გრძნობ რაშეს?

— არა.

შემდეგ სხეუ აღგილზე სინჯა, სადაც ბამბა არ იყო წისმული.

— ახლა?

— მეტყინა, მეტყინა! — კიკილით წამოიძახა ბავშვმა.

— ნუ გეშინია, იქით მითხედე.

გოგილამ მიიხედა. ექიმმა იიღო მაქრატელი და უცურად მოაჭირა
ზედმეტი თითო.

ბავშვს არაფერი უვრდენია.

ჭრილობის ალაგზე წიმალი წაუსვეს და სუსტად შეუხვიერს.

— ახლა, პატარა ბიჭო, ეს ხელი არ იმართო და ასე გქონდეს კისერ-
ზე ჩამოყიდებული.

გოგილას კისერზე გკიდა ხელი და ისე დარბოდა საავადმყოფოს
დეკეფანში.

მორჩივ ექიმებს გოგილა სშირად მისყავდათ სამორიგეო ითახში და
სადილს უზიარებდენ. მას ტკბილი საჭმელები უყვარდა.



— გოგილა, წამოდი ჩემთან, ბულყი არ გინდა? — მიძართა  ჭერიში ანისიშემ.

— მინდა, — უპასუხა და გაშინვე გამოედევნა უკან.

სამორიგეო ოთახში რომ შევიდენ, ანისიმე ბულყი მისუა და ერთი ჭიქა იყესო რძით.

რძიანი ჭიქა რომ გამოცალა, მერე ისევ თავისი ლოგინისკენ გაიტა.

გოგილა კარგაზენს იყო ტფილისის მეორე საავადმყოფოში. მან ამ საავადმყოფოში დატოვა თავისი ზედმეტი თითი.

სოფელში რომ მიეკიდა ბავშვები სიხაწულით ჟევებნენ.

გოგილამ ღიმილით მიძართა ამხანაგებს.

— კიდევ დამტკიცდით! აა, ხელები მომირჩინეს, ქალაქში იმისთვის კარგი ცეკიმები ყოფილა, რომ ჩემი თითის მოჭრა არც კი გამიგო.

ლადა. ჭიჭინაძე




მეციას

ჩვენ საქათმეს რათ უვლი,
შე მსუნავო მელავ,
ამ დროს რამ მოგიყვანა,
მერე როგორ ბნელა!
ვითომ გინდა ჭრელ ქოჩორას
გაპერა ბასრი კბილი
და იქ ტყეში გაიმართო
შენ ვაშამი ტკბილი?

არა ძინავს, იცოდე,
ჩემ საყვარელ მურას,
იგი იყო რომ აჩხავლა
გუშინ ღამით ტურა.
დამიჯერე, საქათმეში
შესვლა არის ძნელი,
თორემ, იცი, იქ დაგრჩება
შენც ეგ კუდი გრძელი.

იოხებ ჭარელი შეიიღო



ქახვი წიგნი.

გუშინ ბაზარზე მამილომ
წიგნი მიყიდა მარტო,
კევიანი კაცის ნაწერი,
სუფთა-ყდიანი ფართო.
გონებას გაგინათლებსო,
მეუბნებინ სახლში,
მეც მჯერა, თვალს ვერ ვაშორებ
წასაკითხავად გაშლილს.
გულს ამოძრავებს, ფიქრებს ზრდის,
როგორც დიდი ხნის ნატვრა,
მერე, რა თეთრი დათვები
შიგ ჩაუხატავს მხატვარს!
ძალლები ეზიდებიან
მარხილს მგზავრებით სავსეს,
დიდი ყინული ისვენებს,
დიდი გემივით, ზღვაზე.
თბილად ჩაცმული კაცებიც
ჩელუსკინელებს გვანან,
ალაგ მინდვრებზე მიღიან,
ალაგ კარვებთან დგანან,
ერთს დათვისათვის ბუჩქნართან
მკერდში ჩაუკრავს დანა...
ასეთ წიგნს, ასეთ აზრიანს
არ წავიკითხავ, ვანა?!

მას უნდა ეწაფებოდეს
ყველა ბეჯითი ბავშვი,
ამუშავებდეს გულდაგულ,
ცოდნა გაპქონდეს ხალხში.
ვიცი, ამაღამ ლამფასთან
დიღხანს მამყოფებს მარტო
წიგნი სწავლულის ნაწერი,
სუფთა-ყდიანი, ფართო.

ପ୍ରତୀବୀନାମକାଳି ପବିତ୍ରଚିତ୍ର

— ଉଠେ ପ୍ରତୀବୀନା ଲକ୍ଷ୍ମୀଦିଲ୍ଲିଙ୍କ ନାମେରୁ ହାନିଦା, ଅଥା ଜୀବୁ ସିମ୍ବୁ ଯୋଗନିଲ୍ଲେବା。
ଜାରିଗେ ଅନ୍ଧିନ୍ଦ୍ରିୟ ଦେବଗଭିତ୍ତିରୁ, ଶୃଗୁର୍ରେଧ ବ୍ୟସଣି ଦର୍ଶନୀ ଆଶୀର୍ବାଦ ଦେବଗଭିତ୍ତିରୁ, — ଶୈଥିମାଲାର୍ଥାର୍ଥା ବ୍ୟୋମକାଳେ ପିଲାଦିଶି ଶତଶରୀରୀ ଏବେ କବିନାର୍ଥୀ ପାଇଶେବତୀନ
ଶୈଥିମାଲା.

— ଦୟାଶୈଥିମାଲା, ଆଦ୍ଵିତ, ଦାଶାରିଥିପୁରାତ, ହରମ ଦର୍ଶନୀ ପ୍ରତୀବୀନାର୍ଥୀ ହିଂମାସ
ଲୟା?

— ମେଦିନୀଙ୍କ ମିଳିଶି ମୌର୍ଯ୍ୟ ଶୈଥିମାଲା ବ୍ୟୋମକାଳେ ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶିରୁଦ୍ଧ
ମିଳିନାର୍ଥୀ ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

ଲୟା ଯୋଗାରାନା ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

— ପ୍ରେଲାଦ୍ୟବିର ମାନିଶାଲ୍ଲେ? ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

— ପ୍ରେଲାଦ୍ୟବିର ମାନିଶାଲ୍ଲେ, ପ୍ରେଲାଦ୍ୟବିର ମାନିଶାଲ୍ଲେ, —
ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା, ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା, ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା, — ଲୟା ଲୟା, ଲୟା ଲୟା, ଲୟା
ଲୟା ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା ମିଳିଦ୍ୱାରା ଲୟା

— କେବିନିବ ଏକ ଆଦ୍ଵିତ?

— ଏକ ବିଲ୍ଲାଫିର ଖୁର୍ବା,

ସମ୍ଭାର୍ଯ୍ୟକଲ୍ପନାରୀ ରାମାପି କମାନ୍ଦିନୀ ମନୀନିଶା, ମେଦିନୀଙ୍କ କମାନ୍ଦିନୀ ମେଦିନୀଙ୍କ
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

ଶୈଥିମାଲା ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି
ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

— ଏବେବୁ, ଶିଶ୍ଚିଲ୍ଲୀତ, କୁର୍ବନ୍ଦେବ କମୁଳାବୀ ଲଗନ୍ଦିବ! — ଏକେବୁ ପିଲାଦିଶି ପିଲାଦିଶି

შეიქნა ალიაჭოთი. ლეომ მიაგდო პირსახოცი და მედიკოსთან ერთდა ისიც ლორს დაედევნა. საერთო შმაურზე ვენახებიდან მოისმა ბებეჭარული გამარტინი

— ჰაი, ჰაუ, ჰაუ, რა ამბავია, რა მოხდა, იმ შეჩვენებულმა ქორმა ქათამი მომტაცა?

— არა, ბებო, ქორი კი არა, ლორს დავსდევთ, კოვზები მოიტაცა! — დაიძახა მედიკომ, თან ლორს მოზრდილი ბელტი ესროლა. რომ ვერაფერს გახდა, ლეომ დამბული ცუფრია თუშვე და მიუსიანა. ცუფრიამ ერთი კი დაიწია და იმ წამსვე მოხდენილი ნახტომით ლორს ზურგზე მოექცა. საწყალმა ლორმა ჰყიფილით იცილო ენო, კოვზები პირიდან ვაღმოუცვიდა.



შმაურობაზე გალეიძებული ქეთინო კიბეზე გაღმომდგარიყო პერანგის ამარა და ხარხარებდა.

— ია, შე ზარბაურ, მიაძახა დედამ, — ჩამოდი, მოგვეხმარე, თუ გინდა თაფლი გაჭამოთ.

— ქეთინო, კაკო გაღმოიყანე, გაიქცეცი! — დაუძახა ლეომ. ქეთინომ კაბა გაღიაცა და კიშკრისაც გაიქცა.

— ქაბი გამოარიცი, შეილო, ბიცულიას. — მიაყეირა დედამ.

ყველაფერი მოამზადეს. პატარა ოთახიდან საწოლი და სხვა ავეჯი გამოიტანეს, თაფლი იქ უნდა შეეტანათ. შეშეაბანდის და ოთახის ფანჯრები ჩაკეტეს, საფრთხილო იყო ფუტკრები არ შემოფრენილიყვნენ. შარშან შეშეაბანდის ერთი ფანჯარა დარჩათ ლია თაფლის ამოღების დროს და ოთახი გაივსო ფუტკრებით, ბევრი ფუტკარი დაიხოცა მაშინ. ამასობაში ქეთინმაც მოირბინა ქაბის ხრივით, უკან კაკო მოსდევდა. დედას სუფრა გაეშალა სისაუზმოდ. ბავშვები სიხარულით ცმუქადენ, მოუთმენლიდ მოელოდენ როდის დადგებოდა ის ბელინი წუთები, როცა ფუტკრის ხილვას შეუდგებოდენ. საჩქროდ ისაუზმეს. ლეო და კაკო მორთვის შეუდგენ.

— ფუტურის ჩაყარეთ საბოლებელში! — გასკა ბრძანები; ლეიმ.
— დედიკ, რისთვის უნდათ საბოლებელი? — ეკითხება ექსილუს
დედა.

— რისთვის, შეიღო, და ფუტურის ბოლით ფუტურარი უნდა გა-
ამრუონ და სარაჭს მაშინ უფრო ადგილად ამოიღებონ, გაბრუებული
ფუტურარი ისე აღარ იქნინება, — უპასუხა დედაშ.

ქეთინომ საკუცით ნაკერძნალი აღო და საბოლებელში ჩაგდო,
ზევიდან ფუტურო დაყარა. დამპალ ხეს ცეცხლი ამდედივით მოედო, და
მილიდან რძის უფრო კვამლი ამოვიდა.

მაღვე ლეო და კაკო მოიჩათნ. ერთი შეხედვით წყალქვეშ მოსი-
არულე მეზღვაურებს წაგავდენ. სახეზე წვრილი მავთულის პირბადე
ეფთარებიათ, ხელებზე ჰავი რეზინის თამანები ეცვათ. ყაველმშებით
დაფარული შექნდათ სხეული. ლეოს ხელში პატარა ცოცხი ეჭირა, ჩარ-
ჩოდან ფუტურების ჩამოსახვეტად, კაკოს საბოლებელი.

ასე შეიარაღებული მიაღენ ჩშირ კაშლის ხებში გამართულ სა-
ფუტურებს; მზიანი დილა იყო. ფუტურების ზიდი უმრავლესობა ცვავილე-
ბის წვერის მოსაგრივებლად გაფრენილიყო, ზოგი მზიარული ბზელით
ნაშვნით დატვირთული შინ ბრუნდებოდა, უკანა ფეხებზე ცვათელი
პარკუპანები ეკიდათ; ეს ცვავილის მტცერი იყო, რომლითაც მუშა ფუ-
ტურები სანთელს აკეთებდენ.

ლეო და კაკო საქმეს შეუდგენ. ფრთხილად მოხადა ლეომ სკას სა-
ხურავი და ზედა სართულს ზამთარში ისობრისათვის შემთხვერული ტო-
მარი მოაცილა. ფუტურები აირივნენ, ეცენ საქმენად ლეოს ხელებს,
მაგრამ რეზინის თამანები მათი ისრისათვის მაგარი გამოდგა; ლეომ
სკას საკუჭნოლად ფრთხილად მოიცილო თაფლით გავსებული ჩარჩო, კაკომ
საბოლებელით კვამლი მიაფრენია და დარტიანებული ფუტურები პაწია
ცოცხი სკაში უკანე ჩაყარა.

ქეთინო და მედიკ სასტუმრო ოთახის ფაჯრებს აწყდებოდენ.

— დედა, რამდენი ფუტურია, ბუზებივით დაურინავენ. ვაი, რომ
უკბინონ, რაღა ეზეველებათ!

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, ისინი ისე კარგად არიან ჩატმულები,
რომ ფუტური ვერ უკბენთ, — დაშავშინა დედამ ბავშვები.

კაკომ გამოარბენია ამილებული ჩარჩო. უკან ბზელით მოსდევდენ
გამწირებული ფუტურები. ბავშვები ეივილ-ხიეილით მიაცეცედნ
დის კარებს, მაგრამ გადებულ კარებში ერთმა ფუტურარმ მოასწრო შე-
ფრენა. შეშინებული ქეთინო უკანე შეხტა ოთახში, მას შექვეა მედიკოსი.
დედამ ჩამოართვა კაკოს ცვათელი სარაჭიანი ჩარჩო და ოთახში შეიტანა.

— შევშეებო, — აბა, მოდით, ნახეთ, როგორი სასტატომით არის ნა-
კუთები სარაჭი, - - დაუძახა დედამ შვილებს.

ქეთინო და მედიკო აღტაცებით ათვალიერებდენ თაფლიან სარაჭის, ზოგ ნასკრეტს თავსაკუთი მოპხნოვდა და კრიალა სქელი წვეთები გოჭიჭიანისა და ილერშებოდა.

— მართლა, საკერველი არ არის, ქეთინო როგორ აქეთებს ეს პარი ბზურია ფუტკარი ასეთ ტებილ რამები! როგორ პატარი ვიყავო, სულ ვფიქრობდი, რა საჭიროა, მაგრა მდებნებს რომ უვლის მა ბრაზიან მწერს, რომელმაც კერის მეტი არაფერი იცის მეტე, არც კი ვიცოდი, თაფლი როგორ კეთდებოდა, შექრის წვენი მეგონა.

ქეთინო დაღვრილ თაფლს თითოთ ლოკავდა.

— მოდი სარაჭიც გავსინჯოთ, მედიკო, წალი კოვჭი მოიტანე, — თქვა ქეთომ.

— ბავშვებო, თაფლი ბევრი არ შეკამოთ, შეიძლება გაწყინოსთ, — დაარიგა შეილები დედამ.

— რატომ, დედუ, განა თაფლი ადამიანს წყენს! — შეკითხნენ ისინი გაკვირვებით.

— მაწყენარია ის თაფლი, რომელსაც ფუტკარი იელის ყვავილის წყენიდან აკეთებს. ხომ გინახავთ იელის ყვავილი? ჩეენი ეზოს ზევით ტყის პირად რომ ბუჩქებია, ყვაითელ ყვავილებს ისამს გაზაფხულზე, ან ის არის იყლი. იმის წყენისაგან გაკეთებული თაფლი მაბრუალაა, — აუბსნა დედამ ბავშვებს.

ამასობაში კავკაში თარი ჩარჩო ქრთად მოარბენია. ბავშვები ისევ სასტუმრო ოთაბის ფანჯრებისაკენ გაიქცენ. ვაშლებით დახუნძლულ ტოტებს ქვეშ დაბაზუოდნ მოულოდნელი მტრის თავდასხმით გაპრაზებული ფუტკრები და ისარმომარჯვებულნი ეძებდენ მსხერპლს, რომ სამაგიერო ვალაგხადათ.

ეზოში კუნტრუ-
შით დახტოდა ორი
ფირის ხბო; ცნობის-
მოყვარე ხბო მიუახ-
ლოვდა საფუტკრეს
და დადგა იმ სკის
წინ, რომლიდანც
ლოემ ეს-ეს იყო თაფ-
ლით საესე ჩარჩო
ამოილო.

— ვაიმე, დედი-
კო, კოტინის უკბენს
ფუტკარი! — აზუზუნ-
დენ ბავშვები.



სწორედ ამ ცრის ხბო უკნაურად შეტოვდა, უკან დაიწია და გარბოდა უკერილი და უდაბერებილი გადაევლო ჯავილებინ ბუჩქებს.
გარბოდა ხბო და უკან მისდევდა იერიშით ფუტერების გუნდების სიეთი სასაკილო სანახვი იყო პატარი ბოჩოლა, რომ ბავშვებს სიცილი წისკდათ და მუცელზე ხელმოუდებულნი ხარხარებდენ, მაგრამ მალე წირმოიღინეს ხბოს უმწერ მდგომარეობა და ცრემლი მოადგათ თვალებზე.

— რა ეშველება საწყალ კოტინას, დედა, რა ვუყოთ! — შესწუწუნეს ბავშვებმა დედას.

— რა ვენა, რა მოუხერხო, წავილ ეგებ როგორმე წყლით მოვაშორო ფუტერები, — თქვა დედამ.

ამ დროს ისეთი ამბავი მოხდა, რომლის მოვონებაზე კარგა დიღხანს იცინდენ ბავშვები.

წყაროდან დაღრილი წყალი კოტა მოშორებით გუბეში გროვდებოდა. ეს გუბე ღრუტუნას სამფლობელო გახდათ. ხბო გუბისკენ მირბოდა გამალებული, წინა ფეხები მოიმარჯვა კიდეც გადასატომდა... და უცებ იმ გუბეში გააღინა ტყაპანი. — „ბე, ბე“ — წამოიმდევლა საკოდევის ხმით ხბომ; წამოდგომა მოინდომა, მაგრამ რამდენსც გაინძრეოდა, უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდ გუბის ძირის ჩაგროვილ შლაში. ფუტერებმა კერნას თვით დაანგებს.

ხბოს გრილი წყალი მოხედა ნაკერნ აღგილებზე და ტკილი დაუადა. იწვა დაშვიდებული იმ გუბეში და წამოდგომას აღარ აპირებდა; თავს დასტრიალებდა ფუტერართა გუნდი.

ბავშვებს სიკილისაგან ცრემლები ჩამოსდიოდათ ლოყებზე.

— ახლა ღრუტუნა რომ მოვიდეს და თვის გუბეში ბოჩოლი ნახოს, ხმა აღარ გადაარჩენს ცალხალის! — კისკისებდა შედიკო.

თაფლის ამოღება მოჰავდა.

— მარტო ერთმა ფუტერარმა მიკებინა, — ამბობდა ლეო. ისიც ხელთაომანი ერთ აღგილას განეული ყაფილი და იქ შეძრო ის საძაგელი.

კაკესთოის მარტენა ლოყაზე ეკინა ფუტერარს.

— მარტენი გასუქებული ხარ, მარჯვნივ კი გამხდარი! — დასკინოდენ ქეთინო და მეღიყო ლოყაგასიკებულ კაკოს.

თაფლის საწური „ციბრუტი“ უკე შხად იყო. ლეომ ჩარჩინანი სარაჭები ჩააღადა შიგ და ტარი დაატრიალა. მართლაც რომ ციბრუტი ვით ტრიალებდა მანქანა და სარაჭის ნისვრეტები თაფლიდან იკლებოდა.

— ხვალ ამ ჩარჩიებს ცარიელი ფიჭით უკანვე ჩაედგამ სკებში, — თქვა ლეომ.

თოახში სიღანდაც ფუტერები შემოფრენილიყვნენ და ბზუილით ეხვეოდენ თაფლს.

ერთი ფუტკარი ქეთინოს ჩააციდა: ის-ის იყო თავულით გავსებული
კოეზი პირთამ მიიტანა, რომ ფუტკარი თავულს დაჯდა; შემინებულმა ქეთინომ
ქეთინომ კოეზს ხელი უშვა.

— მშ პატარა მწერმა როგორ შეგაშინა, მხდალო, — მიაძიხა კაკო
— თუ არ შევაშინა, აბა სარკეში ჩაიხედე, რასა გაეხარ! — უპასუხა
გაწიწმატებულმა ქეთინომ.

იმ დღეს სადილი გვიან გა-
კუთდა. გრილ მარანში გაეზალა
ბებიას სურტა.

— როგორ გაუკეირდება
მამიკოს, რიცა გაიგებს, რომ
ფუტკარი უმისოდ ვხილეთ! —
წამოიძახა მედიუმ სადილზე.

„კუმ უქეთი გამოყო, მეც
ნაბირანაბირა“ შენ რა გააკე-
თე? — დასკინა კაკო მედიუმ.
— სულ ლეოს ნაშრომია ყვე-
ლავერი.

რატომ, მედიუმმაც შე-
იტანა თავისი შელილი საერთო
შრომაში, — დაწყნარა დედამ სასხუბრიად განწყობილი მედიუმ. — ჩემი
ლევანი ყოჩალი ბიჭა, შშობლებს ებმარება, — ქმაყოფილი ლიშტოთ
გადახდა ლეოს ლედამ.

კველანი გემრიელად შეექცეოდნ სადილს, გარეთ კი სახლის ფან-
ჯრებს თავებინწილად ქხეთქებოდენ ლეოს მიერ აწიოკებული ფუტ-
კრები.

თამარ ოყრეშიძე



ჩვენი რაზემი

ზაფხულის თვეს, ფრინველების ერიამულს და ეღერას
ჩვენი რაზმი სიმღერებით ზღვის ნაპირზე შეხვდა.
სოფლად დარჩა მწვანე ველი და შრიალი ხეთა,
სოფლად დარჩა კოლექტივი და მშრომელი დედა...
ვსეირნობდით ზღვაზე ნავით და ზღვა იყო მშვიდი,
ზღვაში ჩანდა ჩვენი თავი ზღვის კენჭების შიგნით!
ერთ დღეს დილით, ალიონზე, მზის ამოსვლის უმაღ
სანაპიროს მოვეფინეთ სიმღერით და გუნდად;
და ნაპირთან იდგა ნავი, შრიალებდა ტალღა,
პირველ რეისს ბათომამდე ჩვენი რაზმი გაჰყვა...
ნავსადგური, ხომალდები და გემების ანძა...
ჩვენი ნავი იმ გემებთან ნაფოტივით ჩანდა.
უცხოელი მეზღვაური მე პირველად ვნახე,
გამურული მისი ტანი და მწუხარე სახე...
როგორ გითხრათ გავცდით ქალაქს ხელმეორედ თითქმ,
ჩვენი რაზმი ხელმძღვანელით კვლავ ქალაქში იყო...
ეს ქალაქი ალარ არის, მთა პერანგას ძირთან;
მთაზე უფრო აზიდული შენობები იდგა!
ახლოდანაც ადარ ჩანდენ ფოთლებივით მწვანე
და ბაქოდან მოსულ ნავთსაც შეუმჩნევლად ნოქავდენ!
შეღამდება და ეს მხარე კვლავ უსვენრად არი,
ეს ქარხნები აზიდული, მთა პერანგას კარი!
მეორე დღეს, ისევ დილით, ისევ მზიან დარში
როს ჩავუშვით თითო - თითოდ ჩვენ ნიჩბები ზღვაში,
ბანაკისკენ გამოვწიეთ, არ შევჩერდით არსად,
უკან დაგვრჩა ნავსადგური და გემების ანძა...
შემოდგომის პირველ ნაყოფს და ფოთლების პირველ ცვენას
ჩვენი რაზმი სიმღერებით ჩვენს სოფელში შეეგება...
დაახეავა შემოდგომამ ჭირნახული მრავალგვარი,
ლალის ფერი ყურძენი და ბროწეული კანდამსკდარი,
და მთელი დღე, თუ მშობლები იყვნენ ცის ქვეშ, იყვნენ
მინდვრად,
ჩვენი რაზმიც ბეჯით შრომით მათ საერთო მწურივში იდგა.

ალ. ადამია

გეიმის ღრის

საქონლები
სიმუშავები



მე-20 სკ. მოწიფებას

როგორ კარგად მოჩანს ქუჩა,
მოლიმარი ხალხის სახე,
ცა ლაქვარდიც ხალის
ხვდება,
სიო წყნარი დროშებს არხევს.

ნაბიჯი არ შეანელო,
ჩემო ჯერან, რიგს არ დარჩე,
ჩოქურიც ხომ წინ მიგვიძლვის,
კოხტა ბიჭი დოლს ცემს
მარჯვედ!

დილა არის, სუფთა დილა,
მოწმენდილი ცა კაშაშებს!
დღეს რა დაგვლლის მე და
ჯერანს
და ჩეენ გვერდით მავალ
ბავშვებს!

აივნიდან ლეო გვიცერს,
წითელ დროშას ხელში არწევს,
შეხე, როგორ აირია,
ძირს ქუჩამდე თვალს ვერ
აწვდეს!

ბავშვებს ერთად ხმები მოაქვთ
ამ ქუჩით და იქით კიდევ,
რა სჯობია ამ დღეს, ამ დროს,
სიხარულს რომ ველარ იტევ!

ჩეენ ხომ ახლა დიდები ვართ,
ლეო წლებს და ქუჩას ნატრობს,
თვალს აცეცებს აქეთ-იქით
ტიტინებს და ბორგავს მარტო...

გასწი წინ და თან უცქირე
ათას ფერს და მრავალ მოდელს,
ჩეენც ვიაროთ ამ ზეიმის
დამთავრების ბოლო დრომდე!

როგორ კარგად მოჩანს
შორსაც
ხალხით საესე ფართო ქუჩა...
მოდის ჯარი, მოდის ავტო,
დასასრული ალარ უჩანს.

სანდრო ულენტი

კატარა გმირები

ანუში რვა წლის იყო. არუთინა კი შეიდი წლის. ისინი
მთებში ცხოვრობდნენ. მათი მამა რკინისგზის დარაჯი იყო:

ერთხელ, როდესაც ბავშვები ჩადეს სვამდენ, საშინელი გრი-
ალი გაიმა, და ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყო.

უცებ გაიღო კარი, შემოვარდა მამა და დაიძახა:

— ბავშვებო, გამოიქეცით!

— ზვავი ჩამოწვა. რელსებზე ლოდები დაეცა! ნახევარ სა-
ათში უნდა გამოიაროს სახალხო მატარებელმა. აი წითელი
ალამი, გაიქეცით ხიდთან და გააჩერეთ მატარებელი.

ბავშვები გაიქცენ. ცხელი დღე იყო და აღმართში არბენა
გაუჭირდათ. შიშველი ფეხები ქვებზე დაისისხლიანეს.



დარაჯი ამტვრევდა ლო-
დებს და ყრიდა ლიანდაგიდან.
მას სისხლი სდიოდა ხელებიდან,
მაგრამ ამას ვერ ამჩნევდა.

— ვაი თუ ვერ შეაჩეროს
მემანქანებ მატარებელი, ვაი თუ
ვერ შეაჩნიოს ბავშვები! მაშინ
ხომ დაიმტვრევა მატარებელი...
დაიღუპება ხალხი...

მორბიან ბავშვები, ძლივს
სუნთქვენ. აი ხიდიც. ხიდქვეშ

მთის მდინარე გიჟურად ლრიალებს.

ანუშმა გადაირბინა ხიდზე.

— არუთინ, მალე, მალე!

მაგრამ არუთინამ ფეხი წამოჰკრა რაღაცას, წაიქცა, და წი-
თელი ალამი გაუვარდა ხელიდან და მდინარეში ჩავარდა.

რით გააჩერონ მატარებელი, რა ქნან?

ატირდა არუთინა, ატირდა ანუშიც.

სად იშვიათ ალამი, რით გააჩერონ მატარებელი?

— მოვიგონე! — დაუყვირა უცებ ანუშმა. — ყაყაჩოები დავ-
კრიფოთ! მალე, არუთინ, მალე!

ირგვლივ აუარებელი ყაყაჩი იყო.

ბავშვებმა მალე გააკეთეს დიდი თაგული.

ალამი მზად იყო.

აი, შორს გამოჩენდა ორთლქმავლის კვამლი.

ანუ შმა დაიწყო თაიგულის ქნევა.

ორთქლმავალი პირდაპირ ბავშვებისკენ მოჰქროდა.

გაჩერდება თუ არა მატარებელი?

დელავენ ბავშვები.

ორთქლმავალი ქშენით მოსრიალებს.

აკიცლდა ორთქლმავალი,

აქრიალდა თვლები...

გაჩერდა.

მემანქანე, კონდუქტორები
და ზოგი მგზავრი მივარდენ ბავ-
შვებთან.

— რა იყო?

— რა მოხდა?

— ზვავია, მამა ქვებს ჰყრის...

— ვაშა! ბავშვებმა გადაგვარჩინეს!

ჰყოცნიდენ ბავშვებს, ეალერსებოდენ.

მაღლ გამოჩენდა მამაც.

— გზა გაწმენდილია, შეგიძლიათ წახვიდეთ, — უთხრა მე-
მანქანეს.

— ამხანაგო! თქვენი შვილები ყოჩალები ყოფილან, თქვენ
კი ძალიან ცუდად მოქცეულხართ, — საყვედლურით მიმართეს
რკინისგზის დარაჯს.

— მე რა დავაშვე? — გაიოცა მან.

რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვებს საჩუქრები ჩამოუტა-
ნეს რკინისგზის დელევატებმა
და ქობულეთის საგურუებიც
მისცეს, მამამისს კი ათასი
მანეთი გადასცეს და თან და-
უმატეს:

— თუმც ცუდად მოქცე
ულხართ, მაინც დაგასაჩუქრეს.

მამა დარცხვენილი იდ-
გა, ის გრძნობდა თავის დანა-
შაულს.

ბავშვები ქობულეთში გაგზავნეს. მათ ზღვა არ ენახათ და
ძალიან ნასიამოვნები იყვნენ.

რედაქციისაგან: ბავშვების მოგვწერეთ, რა დაბშეგა მამის. რქვენ აოგო
მოიქციოთ, მის ადგილას რომ ყოფილოყავით?





წერილი ოთიკების

ძმაო ოთიკო! შენი წერილი მიუიღე, ძალიან გამეხარდა, რომ კარგად ხარ და ემზადები სკოლაში წასასვლელად. მეტ მალე ჩამოვალ. 15 სექტემბერს ხომ სწავლა გვეწყება? სიხარულით მოველი ამ დროს: ვნახავ საყვარელ ამხანაგებს და მასწავლებლებს. გული მწყდება ჩვენს ამხანაგ გოგიზე. ის უკვე ერთი კვირაა წავიდა სკოლაში საშემოდგომო გამოცდებზე. ბიძა მისი ჩამოვიდა მწარედ მოწყენილი: გოგი ისევ მესამე კლასში დაუტოვებიათ. მეც ვიცოდი ასე მოხდებოდა: ცელქობის მეტს არაფერს აკეთებდა. სულ არია სკოლა და ამხანაგებს ჩამორჩა! რამდენჯერ ვცადე ბუქსირზე ამეცვანა, მაგრამ ყური არ მიგდო. ზედმეტ გაკვეთილებს აძლევდნენ მასწავლებლები სუსტ მოწაფებს, ის კი გაკვეთილს არ ესწრებოდა და შინისაკენ გარბოდა. ასეთი მუშაობით ვინ გადაიყვანდა შემდეგ კლასში! შენ რჩევა - დარიგებას მოხოვ, თუ რა არის საჭირო, რომ ფრიადებზე ისწავლო. მეც გაგიზიარებ ჩემ აზრს.


ჩემო ოთიკო! ბეჯითი მოწაფე არასოდეს არ ჩამორჩება ამხანაგებს და კლასში არ დარჩება. ამისათვის საჭიროა წლის დასაწყისშივე მუყაითად შეუდგე მუშაობას. წესიერი მოწაფე კოველთვის 10 — 15 წ. ადრე ცხადდება სკოლაში სწავლის დაწყებამდის. ამ დროს მოწაფე ფიქრობს და ადგენს გეგმას პირველი გაკვეთილისათვის, თუ როგორ უბასუხოს გაკვეთილი მასწავლებელს. ჩვენი გოგი კი ზარის დარეკამდის ეზოში მალიაყს გადადიოდა და ზარის შემდეგ კლასში შესვლასაც აგვიანებდა. მასწავლებელი რომ გაკვეთილის ასსნას დაიწყებდა, გოგი ამხანაგებთან ჩურჩულს უნდებოდა. ყურადღება კი, ჩემო ოთიკო, აუცილებელი პირობაა ცოდნის შესაძნად. თუ გაკვეთილზე სხვა რამეზე ფიქრობ, არაფერი არ დაგრჩება თავში. ერთხელ მასწავ-

საუნდზე

ლებელი მოთხრობას გვიკითხავდა, მე კი გამოხვეული საუნდზე
დამრჩა შინ და იმაზე ვფიქრობდი. უცნდ მასწავლებელმა გამოკიცებული
მიძახა და ვერაფერი ვერ ვუპასუხა. შემრცხეა და გავწითლდებული
მასწავლებელმა შემატყო და არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაფ-
რთხილება მომცა.

უურადღება შესასვლელ კარებს, ან ჭიშკარს მოგვაგონებს.
დაიყრება თუ არა უურადღების კარები, გონების ჭახრაჟში
ველარ გაივლის გაგონილ-წაკითხული და იქ კვალი არ რჩება.
განა უურადღებობის შედეგი არაა გოგის დარჩენაც! ამმხრივ
უკვე ბედნიერი ვარ. ისე შევიმუშავე უურადღება, რომ მას-
წავლებლის ნათქვამიდან ერთი სიტყვა არ გამომეპარება. ეს
ძალიან მშველის. გაკვეთილის წაკითხვა აღარც კი მჭირდება,
თუმცა ყოველდღე ვათვალიერებ სკოლაში მოცემულ გაკვე-
თილს, რომ მტკიცედ ვიცოდე. მე შენ გეტყვი ვისიმე კარნახი
დამჭირდეს, სრულიადაც არა. ჩენ გოგის ყოველთვის კარნახის
იმედი ჰქონდა და ამან ცუდი საქმე უქნა. თითონ კი აღარ
ფიქრობდა, მოკარნახეებს უცდიდა, ეს კი ძალიან მავნებელია.

გუშინ სკოლაში მიმავალ ამხანაგს შეეხვდი. მითხრა, სკო-
ლაში მივდივარო, თორემ ისე რას გავიგებდი. წიგნები შინ
დაეტოვებია და ჯიბეებში ხელები ჩაეწყო. ძალიან გამიკვირდა.
განა შეიძლება მოწაფე სკოლაში უწიგნოთ მისეირნობდეს? რასკვირველია, დაუშვებელია. ეს იმას გავს, რომ წითელ არ-
მიელი საგუშაგოზე უთოფოდ წავიდეს. გაკვეთილების ცხრი-




ლი შინ უნდა გეეიდოს. დაამზადებ თუ არა გაკვეთილებს
წამსვე შეკრებ საჭირო წიგნებს, ჩაალაგებ ჩანთაში და შეკრებ
დღეს წიგნებით სკოლისაკენ გაუდგები. გახსოვს გოგილებული
თი რომ მოქონდა დილდილაობით და წიგნებს შინ ტოვებდა?
ბურთი კარგია სათამაშოთ, მაგრამ ცყველაფერს ხომ თავისი
დრო აქვს. გოგის ერთხელ ბურთი გაკვეთილზედაც კი შეეტანა.
ამხანაგებმა დაინახეს და გაკვეთილის დროს კლასში ჩურჩული
შეიქნა. ზოგი ამხანაგი კი გოგისთან მიჩოჩდა და მოუჯდა გვერ-
დში, ცალი ხელი ბურთზე ედვათ, მასწავლებელს მისხერე-
ბოდენ, მაგრამ ბურთზე ფიქრობდენ. ამნაირი მოქცევა იწვევს
უყურადღებობას და შემდეგ ჩამორჩენას. ვის გაუგონია გაკვე-
თილის დროს ადგილიდან ადგილზე ხტომა კალისავით.
ამას არასოდეს არ ჩაიდენს წესიერი მოწაფე. ის წყნარად
ზის თავის ადგილზე, ყურს უგდებს მასწავლებელს და გაკვეთი-
ლი რომ გათავდება, წყნარად ადგება, წინ მასწავლებელს
გაისტუმრებს და შემდეგ თითონ გამოვა კარში. თუ მორიგეა,
კლასში დარჩება, ფანჯრებს გააღებს, ოთას გაასუფთავებს ცა-
დი ჰაერისაგან და მოემზადება ამხანაგების შესახვედრიად. გა-
ხა ცყველა ასე შერჩება? მე მიყურებია — ზარის გაგონების თანა-
ვე კლასში შეიქნება სკამებისა და მაგიდების ხრივინი, ჯერ
მასწავლებელი ადგილიდან არ დაძრულა და ზოგი მოწაფე
უკვე დერეფანშია გამოვარდნილი. ასეთი უწესრიგობის
გამო სკოლის ინვენტარიც იმტრევა და ზარალი მოსდის
სახელმწიფოს. ვინ უნდა დაფაროს ეს ზარალი? რასაკირვე-
ლია, ჩვენმა მშობლებმა. ამიტომ საჭიროა წესრიგი დავიცვათ
სკოლაში და უწესრიგო ამხანაგებს თვალყური ვადევნოთ.
რისთვისაც მტკცედ უნდა გავატაროთ მორიგეობა.

წერილი გამიგრძელდა, აქ მინდოდა შემეწყვიტა, ჩემო ოთი-
კო შენთან საუბარი, მაგრამ ამ წერილის წერის დროს ჩემთან
ჩვენი ამხანაგი დათიკო შემოვიდა. ახლა გამოსულა საავადმყო-
ფოდან. ხომ გახსოვს, ტრამვაიზე რომ შეხტა, ფეხი იღრძო და
ცოტათი კიდევ კოჭლობს. ასე დაემართება ცყველა ცელქს
და გაუგონარ მოწაფეს.

რამდენჯერ გვესაუბრენ მასწავლებლები ქუჩის წესრიგის შე-
სახებ. პლაკტებიც გამოაკრეს, ავვისენეს, თუ როგორ უნდა მო-
ვიქცეთ ქუჩაში სიარულის დროს. ამ წესების გახსენება დაჩვენირ-
დება, რომ ჩვენც არ დაგვემართოს ასეთი ცუდი შემთხვევა. აქ
ვათავებ საუბარს. დათიკო ახალი ქურნალი „ოქტომბრელი“
მოიტანა და უნდა წავიკითხოთ.

ბაგრატი



ძინაშე

შეგმ პირშუქამ ღრუბლებიდან
მიწას მორცხვად გადმოხედა,
შერე უცებ ცამ იელვა,
დაიგრგვინა, ჩამობნელდა.
მოიქუშა წარბი ღრუბლის,
გადმოუშვა წვიმა ღვარად,
მდინარეებს აუნგრია
გული წმინდა და ანკარა.
დღეს ძირულაც ამღვრეული
ტალღებს ხარბად მოაგორებს,
თავდაყირა ატრიალებს
ჯირკებსა და გათლილ მორებს.
ვანოს მამა ჩანგლით ხელში
წეირთებს ებრძვის, ოფლს
იწურავს:
მოტაცებულ ხეებს წყლიდან
ყრის ნაპირზე მამაცურად.
უფროსი ძმა მკერდგახსნილი
წყალში ბადეს უსვამს
ფრთხილად,
აგერ ბადე ამოილო,

გაიღიმა ბაგე ტებილად.
და რიყეში გადისროლა
მტეავლიანი თევზი წვერა,
ვანოს სახე გაუბრწყინდა,
თევზს ქერიში დაეძერა.
თავდადებით იბრძვის თევზი,
უფართხალებს გული მკერდში.
— ნუ ფხაჟურობ! — ყვირის
ვანო, —
სად წამიხეალ, ხარ ჩემ ხელში!
მაგრამ ბავშვი ამ ჭიდილში
მოიქანცა, დაიღალა,
დაუკურდა ქვაზე ფხები,
გადავიდა ყირამალა.
ბოლოს მაინც, დიდის
ბრძოლით,
როგორც იქნა, იმორჩილა,
ძმა კი, ცქერით გულდამტებარი,
წყალში ბადეს უსვამს
ფრთხილად...

აფთანდილ ნიორაძე



მამაკი

კუჩლელი



(მშინ სიბირიაკისა)

ერთ დაბურულ ტყეში დაიბადა მშინარა კურდლელი. საწყალს ჰველაფრის ეშინოდა: ხის ტოტების ჭრიალი თუ დამფრთხადი ფრინველის თავზე გადაფრენა ერთნაირად აფრთხობდა მას.

ეშინოდა კურდლელს ჰველაფრის... გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... და ერთი კვირა... თვე, და ბოლოს მობეზრდა ამდენი მშიშრობა.

— დღეიდან არავისი მეშინია? — დაიყვირა მან მთელი ტყის გასაგონად.

შეგროვდენ მოხუცი კურდლელები. გამოცუნცულდენ პატარებიც. ჟველა უსმენდა თუ როგორ ტრაბახობდა უურგელა და თვალებქეტია. უსმენდენ და საკუთარ ყურებს არ უჯეროდენ: „სად გაგონილა რომ კურდლელს არაფრის ეშინოდეს?!”

— ეი, შენ თვლებქეტიავ, მგლის არ გეშინია?

— დიალ, მე არც მგლის და არც დათვის არ მეშინია! დღეიდან არავის არ მეშინია!

ეს კი მეტის-მეტი გამოვიდა. ჩაიხითხითეს წინა თათებში ცხვირ წარგულმა პატარა ბაჭიებმა გაიცინეს უფრო მოზღიულებმაც, მოხუცმა, დინჯმა კურდლელებმაც კი გაიღიმეს, რომლებიც არა ერთხელ გასხლტომოდენ მელიის ბრჭყალებს და მგლის კილებს. — რა სასაცილოა ეს კურდლელი? ჰველა გამხიარულდა, დაიწყეს ხტომა, მაღაყების კეთება. თან არაწევულებრივ მოძმეს მასხარად იგდებენ.

— რაგაცინებთ! — ეუბნებოდა მართლაც გულადად ქცეული თვალებქეტია — მე რომ მგელი მომარტდეს, აი ნახავთ თუ თონვე არ შევკამო!




ახლა კი სიცილით გულ მოჯერებული კურდლლებს თავი—
ანთი ამხანაგი შეებრალათ. „საწყალი ჰქუაზე შეიშალა“—გაიკითხა
უიქრებს მათ. „როგორ შეიძლება კურდლელმა ვინმე შექმოჩიტოვა
და მერე ისიც მგელი?“

ამ დროს შორის ბლობლის შშიერი მგელი დაძუნდულებდა და
საქმილოს ეძებდა. დილიდან დაწყებული არაფერი ექამა და
ნატრობდა: რა კარგი იქნება, ერთ კურდლელს მაინც რომ
უავიკერდეთ. უცებ მოესმა, რომ სადღაც, ძლიერ ახლოს, კურდ-
ლები ყვირიან, მის სახელს ახსენებდნ. იგი შეჩერდა, შეიყნოსა
ჰაერი და დაიწყო მიპარვა.

გამხირულებულ, მხტუნავ კურდლლებს მგელი სულ ახლოს
მიეპარა. ხედავს კურდლლები მას დასცინიან: „სადა ხარ, მგელო,
მოდი, ერთი, თუ ჩვენმა თვალებჲკეტიამ არ შეგქამოს!“

— მაშ, მაშ! აბა მოვიდეს ერთი! — იქადნებოდა ჩვენი ნა-
ცნობი თვალებჲკეტია,



— დამაცადე ერთი, ვინ ვის შეჭამს, გიჩვენებ! — გაიფიქრა
ზელმა და „გულადი“ თვალებჲკეტია აათვალთვალა.

კურდლლები საფოხეს ვერ ამჩნევდნ და განაგძნობდნ ხტო-
მას და სიცილს. უცებ ჩვენი ტრაბახა თვალებჲკეტია კუნძული,
ჩაუცემდა უკანა თათებზე და დაიწყო:

— გამიგონეთ, თქვე შშიშრებო, გამიგონეთ! მიცქირეთ მე!
მე ამ წუთში გიჩვენებთ ერთ... ერთ და ენა სასაზე მიეყინა:
ზან დაინახა გადმოსახტომად მომზადილი მგელი.

დანარჩენი კურდლლები მგელს ვერ ხედავდენ და მიახახეს:
„რას უცდი, გეიჩვენე, რაღა!“

თვალებჭყეტია უცებ ბურთივით ავარდა ჰერში. შეტორ-
ალდა და გადმომხტარ მგელს პირდაპირ თავზე დაეცა. გზირ-
ალასავით გადატრიალდა მგლის ზურგზე, დახტა ძირს დამატებით
რივით მოუსვა.

დიდხანს მირბოდა თვალებჭყეტია ეჩვენებოდა, თითქოს
მგელი. კვალ და კვალ მისდევდა ეს-ეს არის პირს წაავლებდა.
ბოლოს ღონე მიხდილმა დახუჭა თვალები და ბუჩქის ქვეშ შე-
ვარდა.

მგელი კი ამ დროს თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მეორე
მხარეს. როდესაც კურდღლი დაეცა ზურგზე, მას მოეჩვენა
თითქოს თოფი ესროლეს...

არც დანარჩენი კურდღლები იყვნენ მოსული გონზე, ზოგ
მათგანს ბუჩქებში ჩაერგო თავი, ზოგი კი ორლობებში გაწოლი-
ლიყო, ბოლოს თითო-თითოდ გამოძრენ თავიანთი თავშეხა-
ფარიდან.

— ნამდვილად შეაშინა ჩვენმა თვალებჭყეტიამ მგელი; რომ
ის არა, ჩვენ ცოცხალი ვეღარ გადაერჩებოდით. სად არის იგი,
ჩვენი უშიშარი ამხანაგი?

დაუწყეს ძებნა.

ბევრი ეძიეს, მაგრამ ვეღარსად ნახეს. ბოლოს მიაგნეს
ჩირგვის ქვეშ მწოლიარეს, შიშისაგან ნახევრად მკვდარს.

— ყოჩად თვალებჭყეტიავ! — მიაძახეს ერთხმად — შენ შეა-
შინე ის მგელი თორებ ცუდი დღე დაგვადგებოდა. ჩვენ კი შენი
სიტყვები ტრაბახი გვეგონა, როდესაც იძახდი მგელის არ მე-
შინიათ. თვალებჭყეტია გაიბადრა, გამოძრო ბუჩქიდან და თა-
ვის კანტურით დაიწყო:

— აბა რა გეგონათ, თქვე მშიშრებო!

ამ დღიდან თვალებჭყეტია მართლაც დარწმუნდა, რომ არა-
ვისი ეშინოდა.

თარგმანი შოთა გაფრინდა შვილისა



მხეცების მწრატვნელი ივანე კორტილიაგო მივიდა ფოსტა ფოსტაში
და შეეკითხა: „ჩემს სახელზე გამოგზავნილია ამანათი. გთხოვთ
გასინჯოთ, მოსულია თუ არა. მწვანე გრძელი ყუთია. ფოსტის
მოხელე, საწყობში შე-
ვიდა. ამანათები და მი-
ღებული საბუთები გა-
დაათვალიერა, შემდეგ
გამოვიდა და ივანე კარ-
ტილიაგოს მიმართა:
„თქვენი ამანათი სად-
გურში უკვე მიღებუ-
ლია, დღეს საღამოთი
გადმოვიტანთ. გთხოვთ
მობრძანდეთ ხვალ და
მიიღოთ“.



როცა ფოსტის მუ-
შაქა და კარტილიაგოს შორის ახეთი ლაპარაკი მიმდინარე-
ობდა. ამ უკანასკნელის ზურგს უკან ჭურდი მოპარულიყო და
მათს საუბარს გაფაციცებით ყურს უგდებდა. ჭურდმა გაიფიქრა:
ნამდევილად ძეირქფასი ამანათი იქნება, უსათუოდ უნდა მოვა-
ხერხო მისი მოპარვა.

II

ჭურდმა საღამომდე იწრიალა ფოსტის შენობის ორგვლივ
და როცა ამანათები მოიტანეს, გულდასმით აათვალიერ-ჩაათვა-

ლიერა და შენიშნა ის
მწვანე და გრძელი ყუთი,
რომლის მოპარვაც დღი-
სით გადაწყვიტა. შუალა-
მისას მან მოახერხა საწ-
ყობში შეძრომა, შიგნიდან
კარი გატეხა, წამოიკიდა
ზურგზე მწვანე, გრძელი
ყუთი და სიბნელეში მიი-
მაღა. ყუთში რაღაცების
სრიალი ისმოდა. ჭურდმა
გაიფიქრა: გავკეთდი, ასე-



თი ხმა ქალალდის ფულმა იცის. მოიტანა შინ ყუთი და დაწევა
დასაძინებლად.

ამაღამ არ გავხსნი, გადასწუვიტა ქურდმა, —ხვალ გაუსმნად მას
დღისით უფრო ადვილი იქნება ფულის დათვლაო.

III

დილას წამოდგა, მონახა ყუთი და ნაჯახით სახურავი ააგ-
ლიჯა. ყუთიდან გველები ამოსისინდენ, ამოსრიალდენ, გამოყვეს
ენები და სისინსისინით ოთახში გაიფანტნენ. შიშისაგან თაეზარ-
დაცემული ქურდი თავბრუდახვევით ავარდა მაგიდაზე და იქიდან
ფანჯარაზე შეხტა. ფანჯრიდან ფეხი დაუცურდა და მისდა უნჯ-
ბურად კარს მიეხეთქა. კარი გაიღო. გველებმა კარს მიაშურეს
და გარეთ გასრიალდენ. შიშისაგან შეძრწუნებული და დაბნე-
ული ქურდი კუთხეში მიკრუნწეული სახტად დარჩა.

ქუჩაში მოქალაქები მიღიოდენ. ვის პორთფელი ეჭირა
ხელში, ვის კალათა და ვის კიდევ სხვა ნივთები. უცებ ვიღაცაშ
დაიღრიალა: „არიქა, გველები.“ და მას მოჰყვა სხვების შეში-
ნებული ძახილი: „თავს უშველეთ, გველები! ყველას დაგვაბენენ,
მოგვწამლავენ!“

გარბოდა ხალხი, ხელიდან უვარდებოდათ პორთფელები,
კალათები, თავიდან ქუდები ძვრებოდათ და ყირას გადადიოდენ.
ვინ ბოძებზე მიბობლავდა, ვინ მოაჯირებზე ხტებოდა. გველები
კი მისრიალებდენ ენა გადმოგდებულნი. მილიციონერები ხალხს



ახლავე გამოძებნეთ ქურდი, თორემ კარგი არაფერი მოხდება.

ამ დროს ფოსტის წინ ხალხმა გაირბინა ყვირილით: „გვშ-
ლები, გველები!“

გასძახოდენ: „ერიდეთ,
ერიდეთ, გველები!“ და
სტვენდენ.

ამანათის პატრონი
ამ დროს, ფოსტაში მო-
სულიყო, გაბრაზებული
იქნევდა ხელებს და
ნერვიულად ელაპარა-
კებოდა ფოსტის მუშა-
კებს. „მოძებნეთ ქურ-
დი, ამანათის დაკარგვა
არ შეიძლება! მერე და
იცით ამანათში რაიყა?

— ჩემი გველები! შეჰყვირა ივანე კარტილიაგომ და სწრაფად გავარდა ქუჩაში. მან ხელი წავლო ერთ დუქანთან დადგლეჭავადა ყუთს და გველებს მიაშურა. ის სწრაფად და მოხერხებულა სტაციებდა გველებს თავში ხელს და ყუთში ყრიდა. მან ცხრა გველი ჩაყარა ყუთში და თქვა: „მხოლოდ ერთი აკლია“.

IV

— საიდან გამოძრენ ეს გველები? — შეეკითხა მილიცუნერი შიშისგან დამფრთხალ გამვლელ-გამომვლელ ხალხს.

— აი იქიდან, ძა, გვასუხა მილიცუნერს ერთმა წითელყველსა ხვევიანმა ბავშემა და მიუთითა ქურდის სახლზე. კარტილიაგო მილიცუნერთან ერთად წავიდა ქურდის სახლის კავნ. ქურდი შიშისგან დაღრეჯილი სახით მაგიდაზე იყო შემჯდარი.

სახლის შუაგულში ერთი ყველაზე დიდი გველი მოგრეხილიყო, თავი მაღლა აელო და სისინებდა. კარტილიაგომ იქვე შეხედა ყუთს წარწერით „ივანე კარტილიაგოს“ და შეჰყვირა: „ამა, აი ჩემი გველების ქურდი! — და ქურდზე მიუთითა. მილიცუნერმა ქურდი ჩამოიყვანა მაგიდიდან, დააპატიმრა და მილიცუაში წაიყვანა. ივანე კარტილიაგომ გველები თავის ყუთში ჩაყარა და ცირკისენ გაეშურა.




„ჩიგიდან“ თარგმნილი ა. კანის მიერ



ჩვენი მხატვარი

მხატვარი შალვა ძელაძე ხშირად ასურათებდა ჩვენ ქურ-ნალ „ოქტობრელის“ და „პიონერს“. შალვას ძალიან უყვარდა საბაჟში ქურნალებში მუშაობა. ის ხატვდა ისეთ სურათებს, რომლებიც ბავშვების ყურადღებას მიიქცევდა.



მხატვარი შ. ძელაძე

შალვა ძელაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა ულმობელმა სიკე-დილმა თავის საყვარელ საქმეს ჩამოაშორა.

შალვა ძელაძე დაი-ბადა დაბა ჩოხატაურში (გურია) 1896 წ. მან საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. შალვას მხატვრობის უნარი მოწაფეობაში ვე გამოაჩნდა. იგი ქუთაისიდან ტფილისში მიდის და სწავლობს მხატვრობას ცნობილ მხატვრებთან: ა. მრევლიშვილსა და მ. თონიძესთან.

შალვა ტფილისში სათანადო მომზადება მი-იღო და ამის შემდეგ კი-ევის სამხატვრო აკადე-მიაში გაემგზავრა. მან

სტუდენტობის დროს ვე დიდი უნარი გამოიჩინა მხატვრობაში და მონაწილეობას ღებულობდა სამხატვრო გამოფენებზე.

აკადემიის დამთავრების შემდეგ შალვა საქართველოში დაბ-რუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მოპერიდა ხელი. მისი ამ დარგში მუშაობა 16 წელიწადი გრძელდებოდა და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოიდა მისი ხელიდან.

შალვა ძნელაძე არა მარტო ხაბავშვილ ქურნალებსა და
წიგნებს ასურათებდა, მან დაასურათა „თმიარიანი“, „დკლდია-
ჟილის თხზულებანი, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა, მისრუს




ლ. მეტრეველი — „ამბავთა ქარავანიდან“.

დასურათებულია ეგ-
ნინოშვილის ტომები.
შალვას დალიან ეხერხე-
ბოდა რევოლუციუ-
რი სურათების დახა-
ტვა.

შალვა ძნელაძემ
გასულ 1933 წელს და
ასურათა ქურნალი „პი-
ონერი“, № 7 – 8. იქ
თალიან კარგადაა მო-
ცემული „პიონერები
მოსავლის ფრონტზე“. „
პამბურვის კომიკში-
რი“ და „უდაბნოს
მგზავრები“, რომელიც
ყარა-ყუმის გადარბენას
ეხება.

შალვამ დაასურათა
აგრეთვე ლევან მეტრე-
ველის წიგნი „ამბავთა



ლ. ჭიჭიაძის — „ისლიანი სახლებიდან“.

ქარავანი“ და · ლავრენტი ჭიქინაძის „ისლიანი სახლები“, წიგნები უკვე გამოვიდა. როცა ამ ზემო დასახელებულ წიგნებს ნახავთ, კიდევ უფრო დარწმუნდებით, თუ როგორი დღდღო-დღიური ნიჭიერი მხატვარი იყო შალვა ძნელაძე. ლ. ჭიქინაძის „ისლიან სახლებში“ მას ძალიან ქარგად აქვს მოცემული ცნობილი რეკოლუციონერის აფრასიონ მერკვილაძის თათბირი, მოზრების ჭიდაობა და სხვა.

ქართულმა მხატვრობამ შალვა ძნელაძის სახით დაკარგა ერთი საუკეთესო მხატვართაგანი, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ენერგიითა და ენთუზიაზმით იყო საესე. მისი დაკარგვა განსაკუთრებით საგძნობია ჩვენთვის, ვინაიდან იგი დიდი სიყვარულით მუშაობდა ქართული წიგნისა და კერძოდ საბავშო წიგნის გაფორმებაზე.

ლეო ჩადუნელი



გამოცხანა.

იგი ჩვენში ხშირი არის;
ტემპები აქვს ერთობ ჩქარი,
უიმისოდ კოლექტივი
სუსტი არის და მარტივი.
ტანად არის ზორბა, სრული,
დიდ ქარხნიდან გამოსული...
თვლებზე არის მოწყობილი,
აქეს ფოლადის ბასრი კბილი.
მართავს მარჯვე კაცის ხელი,
არ სჭირდება თივა-ქერი,
დაგუგუნებს მინდორ-ველად
შავი მიწის მოსახუნელად...

ალ. საჩინოელი.

ରୋହିଲା



ଶ୍ରୀ
ପାତ୍ର

ପଦ୍ମଶିଳ
ପାତ୍ରପାତ୍ର
ପାତ୍ରପାତ୍ର

, 100



ରୋହିଲା ଶ୍ରୀପାତ୍ରପାତ୍ରପାତ୍ର ବେଳେ ଲୋକିତାତିଥିରେ ମିଳିର.

ପାତ୍ରପାତ୍ରପାତ୍ରପାତ୍ର ରୋହିଲା ପାତ୍ରପାତ୍ରପାତ୍ର: ଗଣନ୍ଧା ପାତ୍ରପାତ୍ରପାତ୍ର.

ମିଳିରାନ୍ତି: ଶାନ୍ତିର ଶଲେନ୍ଦ୍ର.

„ოქტომბერი“

არ დარჩევ ი. ე. უ.
ხარისხი მოგრძელდება და გვიცი-
ნს დასახლ მოსახლეთი კავკასიონის
რეგიონი გვიცით თბილის.

„ოქტომბერი“

მარტინული სიმაგიოთ აზრით არ-
გორც საგარეოა ქვეყნის ისე უ-
ცოცის გავავთა აოცაცხოვენებასა
და საკმიანობას.

„ოქტომბერი“

თავისი უინაარსით, თავისი მარტო-
გით ჯერადითვის მომდევ პავავები-
სათვის საინტერესო საკითხები
უურნებია.

„ოქტომბერი“

შოთა ბოგორი იგეგლება საუკე-
თასო ლიკვიდი, მოთხოვები, ზღაპ-
რები და გასართოებები.

„ოქტომბერი“

თავაზუროებული მოწინავე საგარ-
თა მარტინული, ახალგაზრდა მარტი-
ნი, მარტინული და პედაგოგი გარ-
და ამისა, უშანებელი „ოქტომბერი“
აქცენტის გავავთა საუკითხოს ვევრ-
ებედების, ხელს უდევთა მარტინულთა
ახალი კადრების აღზრდას და დაწ-
ეურიას.

ურველა მარტინერება უდა გამოიცეროს და წა-
პითხოს თავისი უარისი „ოქტომბერი“

მათი ულით უურ „ოქტომბერი“ ღიას 6 მარ.

მათი თავი „ „ „ „ „ „ „

შანებელ „ოქტომბერი“-ს რეაქცია-